ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 15
25/04/2018

15-08-4-201804251643

დადგენილება N

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 (www.matsne.gov.ge, 19/02/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016100), დადგენილებაში:

1. დადგენილების პირველი დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კონტროლი მოსაკრებლის გამოანგარიშებასა და ბიუჯეტში შეტანის ორგანიზებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ზედამხედველობის სამსახურს.

2. დადგენილების მე- 3 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქიით:

დანართი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		
სახაზინო კოდი		
ქვითარი:		
0		
მისამართი:		
საიდენტიფიკაციო კოდი ან პირ. N:		
სამუშაო ფართის 1კვ.მ (ან ერთსულზე)		ტარიფი
რაოდენობა	0.00	0.00
თარიღი	ოპერაციის ტიპი	თანხა
00.00.2017	დარიცხვა	0.00
დებეტი	0.00	
გადახდილია	0.00	
გადასახდელია	0.00	
გთხოვთ არაუგვიანეს 20 რიცხვისა გადაიხადოთ მოსაკრებელი გადაუხდელობის შემთხვევაში გატარდება ადმინისტრაციული ზომები.		
ძვირფასო მოქალაქენო ! ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებელი გადიახდება თვეში ერთხელ თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში. როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით.		

მოსახლეობა ვალდებულია დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა განახორციელოს კვარტალურად, როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით, რომლის ადმინისტრირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,სხივი“ მხარეთა შეთანხმებით მოსაკრებლის ოდენობის და გადახდის შესახებ ინფორმაცია გადამხდელს შეიძლება ეცნობოს SMS შეტყობინებით, რომელიც: ანაცვლებს ამ ქვითრის მიღების სამართლებრივ მნიშვნელობას. დავალიანების ნებაყოფლობით გადახდევინების მიწერილობის უგულებელყოფისას კალენდარული წლის 20 დეკემბრისთვის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად საქმე წარედგინება სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მერიის ზედამხედველობის სამსახურს. ტელ: 577 95 70 01

3. დადგენილების მე-4 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი 4

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია მოსაკრებელი კურორტ ბახმაროს დასუფთავებისათვის		
სახაზინო კოდი		
ქვითარი:		
0		
მისამართი:		
საიდენტიფიკაციო კოდი ან პირ. N:		
მესაკუთრე ან/და მოსარგებლე		ტარიფი
რაოდენობა	0.00	5(ხუთი)ლარი
თარიღი	ოპერაციის ტიპი	თანხა
00.00.2017	დარიცხვა	0.00
დებეტი	0.00	
გადახდილია	0.00	
გადასახდელია	0.00	
გთხოვთ არაუგვიანეს მოსაკრებლის გადახდის ქვითარის გამოიწერიდან 5 დღის ვადაში გადაიხადოთ მოსაკრებელი გადაუხდელობის შემთხვევაში		

გატარდება ადმინისტრაციული ზომები.
ძვირფასო მოქალაქენო ! ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებელი გადაიხდება თვეში ერთხელ თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში. როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მერიის ზედამხედველობის სამსახურს. ტელ: 577 95 70 01

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა